



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92.92213641

თარიღი:30/12/2021

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისა და ადმინისტრაციულ ერთეულებისათვის საწვავის გამოყოფისა და ლიმიტის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N23 დადგენილების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1.გამოიყოს საწვავი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირებისა და ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისათვის დანართი N1-ით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 2.გამოიყოს საწვავი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებისათვის დანართი N2-ით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

მუხლი 3.მეორე მუხლით გამოყოფილი საწვავის გამოყენება მოხდეს სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად იმ ავტომანქანებზე, რომლებსაც ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები /საწვავით მოსარგებლეები/ ძირითადად გამოიყენებენ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მუხლი 4.საწვავის ხარჯვის დასადასტურებლად, საწვავით მოსარგებლეებმა წარმოადგინონ შესაბამისი საწვავის ჩამოწერის აქტი, რომელიც დადასტურებული იქნება პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ხელმოწერით ან სხვა დოკუმენტით, რომელიც დაადასტურებს საწვავის ხარჯვის სინამდვილეს. აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მის წარმომდგენ პირს.

მუხლი 5.ბრძანების მოქმედება განისაზღვროს 2022 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 6.კონტროლი, საწვავით მოსარგებლეებისათვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, საწვავის ხარჯვის ჩამოწერაზე დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის "საფინანსო სამსახურს".

მუხლი 7.ბრძანება ძალაში შედის 2022 წლის 01 იანვრიდან.

მუხლი 8.ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 01 თებერვლის N112/ს ბრძანება.

მუხლი 9.ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის

რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ჯონდო მდივნიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

